პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N

..... დეკემბერი , 2021 წელი

პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის, დავით აბულაძისათვის ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე
შეწყვეტის ცნობად მიღების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის N59 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ლ.ლალიაშვილის 2021 წლის 6 დეკემბრის N59/236 წერილობითი მომართვის, ქალაქ ქუთაისის N59 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 6 დეკემბრის N58/02/2021 განკარგულების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით აბულაძის წერილობითი განცხადებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 7 დეკემბრის N დ 45.45213411 რეკომენდაციის საფუძველზე,

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 2021 წლის 7 დეკემბრიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, დავით აბულაძეს პირადი განცხადების საფუძველზე, ვადამდე შეუწყდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

(ქალაქ ქუთაისის N59 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ლ.ლალიაშვილის 2021 წლის 6 დეკემბრის N59/236 წერილობითი მომართვა, ქალაქ ქუთაისის N59 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2021 წლის 6 დეკემბრის N58/02/2021 განკარგულება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დავით აბულაძის წერილობითი განცხადება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2021 წლის 7 დეკემბრის N დ 45.45213411 რეკომენდაცია წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ეთხოვოს N59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას კანონით დადგენილ ვადებში წარმოუდგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დავით აბულაძის ადგილმონაცვლე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

თ.ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის - სამდივნო განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია

N 59/236
06/12/2021

236-59-2-202112061210

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2021 წლის 16 ოქტომბერს N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემოვიდა ახლადარჩეული საკრებულოს წევრობის კანდიდატის N1 საარჩევნო სუბიექტის ,,მესამე ძალა'' პარტიული სიის N1 ნომრის დავით აბულაძის განცხადება (ოლქში რეგისტრაციის N59-631), რომელშიც მოგვმართა თხოვნით, ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი''146-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრირებული პარტიული სიიდან ამოღების შესახებ.

გიგზავნით, აღნიშნულ განცხადებას შემდგომი რეაგირების მიზნით.

პატივისცემით,

ლარინა ლალიაშვილი

კომისიის თავმჯდომარე

N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

განკარგულება N58/02/2021

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის - პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი"-ს მიერ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრად პროპორციული საარჩევნო სისტემით ასარჩევად პარტიულ სიაში წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

ქ.ქუთაისი 06.12.2021

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის, 146-ე მუხლის 2^3 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საკრებულოს წევრის განცხადების შესაბამისად ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის - პარტია „მესამე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი"-ს მიერ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრად პროპორციული საარჩევნო სისტემით ასარჩევად პარტიულ სიაში წარდგენილი კანდიდატის დავით აბულაძის-პარტიულ სიაში რიგით პირველი საარჩევნო რეგისტრაცია.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (თბილისი დავით აღმასენებლის ხეივანი N138) მისი გამოცემიდან 2 კალენდრული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მისი ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე: ლარინა ღალიაშვილი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

15 10 2021

№ 55-631 1 ფ.

16 10 2021 წ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია

დასკვნა:**დ45.45213411**
თარიღი:**07/12/2021**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი შენგელიას

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის
რეკომენდაცია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
დავით აბულაძისათვის პირადი განცხადების საფუძველზე საკრებულოს
წევრის უფლებამისილების ვადამდე შეწყვეტის
შ ე ს ა ხ ებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა საკრებულოს წევრის, დავით აბულაძის პირადი განცხადება, რომელიც შეეხებოდა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. აგრეთვე, გაეცნო N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ლ.ლალიაშვილის მომართვასა /N59/236; 06.12.2021/ და თანდართულ დოკუმენტაციას /განკარგულება N59/02/2021; განცხადება N59-631/.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ შეამოწმა თანდართული დოკუმენტაცია, რის შედეგადაც **დ ა ა ს კ ვ ნ ა** „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებითა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 93-ე მუხლისა და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5, მე-6 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით აბულაძის პირადი განცხადების, N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ლ.ლალიაშვილის 6 დეკემბრის N59/236 მომართვის საფუძველზე, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ცნობად იქნეს მიღებული:

1. პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს დავით აბულაძეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა, 2021 წლის 7 დეკემბრიდან.

მომზადდეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება, აღნიშნული ცვლილების განხორციელების თაობაზე და იურიდიულ საკითხთა კომისიის ამ რეკომენდაციასთან ერთად დასამტკიცებლად წარედგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას.

პატივისცემით,

თეა ჯუღელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიულ საკითხთა კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი